

**საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის
ბრძანება N69**
2007 წლის 25 სექტემბერი ქ. თბილისი

**ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობის დერეგულირებისა
და ნაწილობრივი დერეგულირების შესახებ**

ბუნებრივ გაზის ბაზარზე კონკურენციის განვითარებისა და ბუნებრივი გაზის განაწილების ახალი ქსელის მშენებლობის ხელშეწყობის მიზნით, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჯ“ და „ჯ¹“ ქვეპუნქტებისა და მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობა, გარდა ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, გამოცხადდეს დერეგულირებულად.
2. ნაწილობრივ დერეგულირებულად გამოცხადდეს ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობა 2008 წლის 1 აგვისტომდე არსებული ბუნებრივი გაზის მომხმარებელი იმ ფიზიკური პირებისთვის (მოსახლეობა _ საყოფაცხოვრებო მომხმარებელი), რომლებიც ბუნებრივ გაზს არ მოიხმარენ სამეწარმეო საქმიანობისთვის, გარდა იმ პირებისა, რომლებისთვისაც ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობა დერეგულირებულ იქნა 2008 წლის 1 აგვისტომდე. (24.07.2008 N 73)
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2007 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ა. ხეთაგური